2. სოციალური მუშაობის სამაგისტრო პროგრამა (*Master Program in Social Work)*

2. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: სოციალური მუშაობის მაგისტრი *(Master of Social Work - MSW)*

3. სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი:

პროგრამას ჰყავს ორი თანადირექტორი:

1. პროფ. მარკ დოელი (შეფილდ-ჰალამის უნივერსიტეტი, დიდი ბრიტანეთი)
2. პროფ. იაგო კაჭკაჭიშვილი (თსუ პროფესორი)

5. სამაგისტრო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:

სოციალური მუშაობის სამაგისტრო პროგრამის მიზანი **შესაძლებელია განისაზღვროს სამ დონეზე:**

- აკადემიურ დონეზე პროგრამის მიზანია სტუდენტები უზრუნველყოს სოციალური მუშაობის პრაქტიკისთვის ფუნდამენტური დისციპლინების კრიტიკული ცოდნით და სოციალური მუშაობის პრაქტიკის თეორიული საფუძვლებით.
- პროფესიულ დონეზე პროგრამა მიზნად ისახავს მოამზადოს სტუდენტები იმ პროფესიული სტანდარტების შესაბამისად, რომლებიც მოეთხოვება სოციალური მუშაობის პრაქტიკას და რომლებიც შემუშავებულია საერთაშორისო და ადგილობრივი ვალიდური ინსტიტუციების მიერ.
- პროგრამის საბოლოო მიზანია, მიაღწიოს პროფესიული და აკადემიური სტანდარტების ინტეგრაციას და მოამზადოს კრიტიკული რეფლექსიის მქონე პრაქტიკოსი, რომელიც დაინტერესებულია განავითაროს თავისი პროფესიული უნარ-ჩვევები.

<u>**შედეგი:**</u> პროგრამის დასრულების შემდეგ სოციალური მუშაობის მაგისტრები:

- დაეუფლებიან ღრმა ცოდნას იმისა, თუ როგორ უნდა შეფასდეს ის, რაც აკონსტრუირებს სოციალური მუშაობის პრაქტიკას;
- გააცნობიერებენ პიროვნულ და პროფესიულ ღირებულებებს და მათ გავლენას იმ სამუშაოზე, რასაც სოციალური მუშაკი ასრულებს. ისინი ისწავლიან, თუ რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს სქესს, ასაკს, კლასობრივ კუთვნილებას, სექსუალობას, უნარშეზღუდულობას და სოციალურად სტრუქტურირებული განსხვავებების სხვა ფორმებს მათ პროფესიულ პრაქტიკაზე.
- ისწავლიან, თუ როგორ იმუშაონ ისე, რომ ხელი შეუწყონ სხვადასხვა სერვისის მომხმარებლის გაძლიერებას, რათა არ მოხდეს მათზე ზეწოლა და დისკრიმინაცია.
- გამოიმუშავებენ სოციალური მუშაობის პრაქტიკის სოციალური და პოლიტიკური კონტექტის კრიტიკულ გაგებას, ასევე, შეიძენენ ჰოლისტური პრაქტიკის უნარ-ჩვევებს, რომელიც ინდივიდებს განიხილავს პლურალისტური საზოგადოების ფართო კონტექსტში.
- ისწავლიან, თუ როგორ მოახდინონ თეორიისა და პრაქტიკის ინტეგრირება სოციალურ მუშაობაში.
- ღრმად დაუფლებიან სოციალური მუშაობის ისეთ მეთოდებს, როგორიცაა ჯგუფური მუშაობა, ოჯახებთან მუშაობა, ამოცანაზე ორიენტირებული სოციალური მუშაობა, კოგნიტური ბიჰევიორული მუშაობა და ა.შ. მათ ექნებათ

შესაძლებლობა, რომ მოახდინონ ამ მეთოდების პრაქტიკაში გამოყენება პრაქტიკის ორგანიზაციებში.

- **გააცნობიერებენ იმას, თუ რამდენად მნიშვნელოვანია, რომ განვითარდეს სოციალური მუშაობის სააგენტოების მიერ კლენტზე ორიენტირებული პოლიტიკის გამომუშავება. მათ განუვითარდებათ უნარ-ჩვევები იმისა, თუ თავად როგორ განახორციელონ ღირსეული და ღირებულებებზე დაფუძნებული პრაქტიკა.**

<u>**დასაქმების სფეროები:**</u> სოციალური მუშაობის მაგისტრატურის კურსდამთავრებული კონკურენტუნარიანი იქნება როგორც აკადემიურ/სამეცნიერო სფეროში, ისე პრაქტიკის კეთების თვალსაზრისით. მას შეეძლება სწავლის და სამეცნიერო საქმიანობის გაგრძელება დოქტურანტურაში. რაც შეეხება პრაქტიკას, სოციალური მუშაობის მაგისტრს შეუძლია დაიკავოს მენეჯერული პოზიციები ყველა იმ სახელმწიფო თუ კერძო სააგენტოში, რომლებიც სოციალურ სერვისს ახორციელებს სხვადასხვა სფეროში (ბავშვთა კეთილდღეობა, პენიტენციალური სისტემა, უნარშეზღუდულთა რეაბილიტაცია, მოხუცებზე ზრუნვა, ნარკომანთა და აივ/შიდსით ინფიცირებულთა ადაპტაცია და სხვ.).

იმ პირობებში, როდესაც სოციალური სამუშაო ხდება რეგულებადი პროფესია, ე.ი. ექცევა სახლმწიფოს პატრონაჟის ქვეშ, მოთხოვნა სოციალური მუშაკებზე სულ უფრო გაიზრდება, რაც, ცხადია, დასაქმების გაცილებით უკეთეს გარემოს შექმნის.

6. სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობები:

- ბაკალავრის ხარისხის (ან ერთსაფეხურიანი სწავლების დიპლომის) ფლობა ნებისმიერ სპეციალობაში (ასეთი შეუზღუდავობა გამართლებულია იმ პირობებში, როდესაც მაგისტრატურაში შესვლის მსურველი აბარებს მისაღებ გამოცდებს).
- რომელიმე მითითებული უცხო ენის (ინლისური, გერმანული, რუსული, ფრანგული) ცოდნა, სულ მცირე, B2 დონეზე მაინც. ეს დონე უნდა დადასტურდეს შესაბამისი სერთიფიკატით, ან უცხო ენაში გამოცდის შედეგად.

ზემოაღნიშნულის გარდა, სასტარტო პირობები მაგისტრატურის ყველა მსურველისთვის თანაბარია. მაგისტრატურაში მიღება განხორციელდება ღია კონკურსის წესით, სპეციალობაში ტესტირების (წერითი გამოცდა) საფუძველზე. მისაღები გამოცდების შედეგები არის დიფერენცირების ძირითადი ინდიკატორი.

სოციალური მუშაობის სამაგისტრო პროგრამის საკითხები

- სოციალური სამუშაოს ზოგადი პრაქტიკის საფუძვლები: ინდივიდებთან და ოჯახებთან მუშაობა
- ჯგუფებთან მუშაობა
- სოციალური სამუშაოს პრაქტიკა თემებთან და ორგანიზაციებთან
- ადამიანის ქცევა სოციალურ გარემოში
- კულტურული მრავალფეროვნება და სოციალური სამუშაო

- სოციალური მომსახურებები ბავშვების, მოზარდებისა და მათი ოჯახებისათვის
- თანამედროვე სოციალური პრობლემები *(სიღარიბე, უსახლკარობა, იგპ, სექსუალური უმცირესობები, დამნაშავეობა, შიდსი, ნივთიერებაზე დამოკიდებული პირები)*
- სოციალური კეთილდღეობის საერთაშორისო გამოცდილება
- სოციალური გერონტოლოგია
- ფსიქიკური ჯანმრთელობა
- სოციალური სამუშაოს კვლევის მეთოდები
- კვლევა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრაქტიკა
- სოციალური სამუშაოს სამართლებრივი ასპექტები
- სოციალური პოლიტიკა

ლიტერატურა

- დოელი, მ. და შერდლოუ, ს. მ. (2005): "თანამედროვე სოციალური მუშაობის პრაქტიკა", Ashgate: Aldershot, გამომცემლობა "საარი", თბ. 2007.
- ჰეპვორსი, ჰ. დინი, რუნი, ჰ. რონალდი, არსენ ანა ჯო (1997): უშუალო სოციალური მუშაობის პრაქტიკა; თეორია და უნარები (მეხუთე გამოცემა) (ბეჭდური ვარიანტი ქართულ ენაზე).
- საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის ეთიკის კოდექსი.
- Colby I. & Dziegielewski, S. F. (2001). Social Work: The People's Profession. Lyceum, Books, INC.
- Compton, B.R. & Galaway, B. (1989) Social work processes. Fourth edition. Belmont, California: Wadsworth Publishing Company.
- Gitterman, A. (2001). Handbook of Social Work Practice with Vulnerable and Resilient Population, Second Edition. Columbia University Press.
- Hartman, A. & Laird, J. (1983). Family centered social work practice. New York: Free Press.
- Hepworth, D. H. & Larsen, J. (1993). Direct Social Work Practice: Theory and Skills" Fourth Edition. Brooks/Cole Publishing Company.